შეთანხმების აქტი N162 -1

29.06.2015 წლის N162 ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ

ქ. თბილისი 1 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **ბესიკ დევდარიანის** სახით,
მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N3
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის N: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ
ი/მ არჩილ კაპანაძის სახით,
მის: ქ. თბილისი გდლდანის მე-3 მ/რ
კორპ. 15 ბინა 59.
ტელ: 597935585
საიდენტიფიკაციო კოდი: 01001030871
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: ა/ა GE46BG0000000182553400
(შემდგომში „შემსრულებელი“)

2015 წლის 29 ივნისს გაფორმებული N162 ხელშეკრულების მე-16 მუხლის, 16.5 პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლისა და პატიმრობის კოდექსის 125[1] მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის კოდექის 125[1] მუხლის საფუძველზე 2015 წლის 1 ივლისს განხორციელდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს რეორგანიზაცია, აღნიშნულმა ცვლილებამ 2015 წლის 29 ივნისის N162 ხელშეკრულებაში გამოიწვია ცვლილების განხორციელება, კერძოდ:

1.1. 2015 წლის 29 ივნისს გაფორმებული N162 ხელშეკრულების მუხლებში, პუნქტებსა და ქვეპუნქტებში, სადაც ფიგურირებს სიტყვა **სასჯელაღსრულების დეპარტამენტი** შეიცვალოს სიტყვით **პენიტენციური დეპარტამენტი.**

1.2. მე-6 მუხლის 6.2 პუნქტით განსაზღვრული შემსყიდველის მხრიდან 6.1. პუნქტში აღნიშნული უფლებამოსილი პირები არიან ლოჯისტიკის დეპარტამენტის სატრანსპორტო უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველი ცეზარ აფრასიძე, მრჩეველი თენგიზ საცერაძე, მთავარი სპეციალისტი კუკური ჯიბლაძე, მთავარი სპეციალისტი გივი თოლორაია, მთავარი სპეციალისტი აბრამაშვილი ირაკლი, სპეციალისტები გიორგი ბოკელავაძე და ლაშა ლემონჯავა.

1.3. მე-15 მუხლის 15.2. პუნქტით განსაზღვრულ კონტროლს განახორციელებენ ლოჯისტიკის დეპარტამენტის სატრანსპორტო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ალექსანდრე ჩაგანავა, მრჩეველი ცეზარ აფრასიძე, მრჩეველი თენგიზ საცერაძე, მთავარი სპეციალისტი კუკური ჯიბლაძე, მთავარი სპეციალისტი გივი თოლორაია, მთავარი სპეციალისტი აბრამაშვილი ირაკლი, სპეციალისტები გიორგი ბოკელავაძე და ლაშა ლემონჯავა.

1.4. 2015 წლის 29 ივნისს გაფორმებულ N162 ხელშეკრულების 17-ე მუხლში განსაზღვრული „შემსყიდველის“ რეკვიზიტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, მის.: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N3, საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934, სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222, ანგარიშის N: 200122900, მინისტრის მოადგილე - ბესიკ დევდარიანი“.

2. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.

3. შეთანხმება ძალაშია მითითებული თარიღიდან, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით და პირობებით.

4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„შემსრულებელი“
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	ი/მ არჩილ კაპანაძე
ბესიკ დევდარიანი	არჩილ კაპანაძე